ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. ივნისის 25 № 15 თბილისი.

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

71. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მთავარი საგზაო სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან საგზაო სამმართველოების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და საქართველოს სსრ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან საგზაო განყოფილებების მოწყობის შესახებ.

72. 1938 წლის მოსავლის თივისა და ჩალის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

73. 1938 წლის მოსავლის სამრეწველო და სუფრის ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

74. თამბაქოს თავისუფლად გაყიდვის შესახებ.

75. ტყეში მუხის ნაყარ მოზარდეულში მუხის აბრეშუმის ჭიის გამოკვების შესახებ.

76. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ამხანაგ სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ.

77. იმ დოკუმენტების ნუსხის მე-14 პუნქტის ამოშლის შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

78. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

512.11

71. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მთავარი საგზაო სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან საგზაო სამმართველოების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და საქართველოს სსრ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან საგზაო განყოფილებების მოწყობის შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 22 აპრილის დადგენილებისა—„საგზაო მეურნეობის მმართველობის შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 21, მუხ. 133) და საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მთავარი საგზაო სამმართველო, აფხაზეთის და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან საგზაო სამმართველოები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და საქართველოს სსრ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან საგზაო განყოფილებანი.

2. გადაეცეს საქართველოს სსრ შინსახკომიდან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საგზაო სამმართველოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საგზაო განყოფილებების გამგებლობაში ყველა იმ გზატკეცილისა და ყამირგზების რემონტი და შენახვა, რომლებსაც არა აქვთ საერთო საკავშირო მნიშვნელობა, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით გზების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოთა ორგანიზაციის მთელი საქმის ხელმძღვანელობა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს ერთი თვის ვადაში გადასცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ საგზაო სამმართველოებს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ საგზაო განყოფილებებს მიმდინარე წლის კაპიტალდაბანდებათა მთელი ლიმიტები და საბიუჯეტო ასიგნობანი, გადასაცემი გზების მატერიალურ-ქონებრივი ღირებულებანი და მატერიალურ-ტექნიკური ფონდები.

4. დაევალოს კომისიას ამხ. ბაქრაძის (მოწვევა) გოგლიძის, დეკანოზოვის, ამირანაშვილის და ციმაკურიძის შემადგენლობით ერთი დეკადის ვადაში:

ა) დააწესოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს, ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საგზაო სამმართველოების და რაიაღმასკომების საგზაო განყოფილებების სტრუქტურა და შტატები;

ბ) განსაზღვროს საკავშირო მნიშვნელობის იმ გზების ნუსხა, რომლებიც რჩება საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს გამგებლობაში, აგრეთვე იმ გზების ნუსხა, რომლებიც გადაეცემიან საგზაო სამმართველოებისა და საგზაო განყოფილებების გამგებლობაში;

გ) დააკომპლექტოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს აპარატი ხელმძღვანელ მუშაკთა სათანადო შემადგენლობით;

დ) განსაზღვროს საგზაო სამმართველოებისა და საგზაო განყოფილებების აპარატების შესანახი ხარჯების ოდენობა.

5. ამავე კომისიამ შეიმუშაოს საქ. სსრ შინსახკომის გამგებლობიდან საგზაო სამმართველოებისა და საგზაო განყოფილებების გამგებლობაში სათანადო გზების გადაცემის, აგრეთვე გადასაცემი გზების მატერიალურ-ქონებრივი ღირებულებებისა და მატერიალურ-ტექნიკური ფონდების გადაცემის წესი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მაისის 3. № 584.
თბილისი.

---

72. 1938 წლის მოსავლის თივისა და ჩალის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს 1938 წლის მოსავლის მოცულობითი ფურაჟის კონტრაქტაციის გეგმა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში „ზაგოტსენო"-ს სისტემის ხაზით შემდეგი რაოდენობით:

თივის . . . . . 14 ათასი ტონა
ჩალის . . . . . 3 ათასი ტონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგი განაწილებით რაიონების მიხედვით (იხ. დანართი).

2. დაწესდეს თბილისის რაიონში თივის კონტრაქტაციის გეგმა 800 ტონის რაოდენობით და ამ რაიონში კონტრაქტაციის ჩატარება დაეკისროს საქხორცტრესტს, რათა დაკმაყოფილებულ იქნას თბილხორცკომბინატის მოთხოვნილება მოცულობითი ფურაჟზე.

3. დაევალოს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს ხუთი დღის ვადაში დაამტკიცონ თივისა და ჩალის კონტრაქტაციის გეგმები ცალკეული კოლმეურნეობებისა და სოფლების (ერთპიროვნული მეურნეობებისათვის) მიხედვით და დაიყვანონ ეს გეგმები კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე არაუგვიანეს 1938 წლის 25 მაისისა.

4. დაევალოს დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში და საქხორცტრესტს თივისა და ჩალის კონტრაქტაცია კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში დაამთავრონ 1938 წლის 1 ივნისისათვის.

5. შენარჩუნებულ იქნას 1938 წლისათვის კონტრაქტაციის წესით თივის ჩაბარების ვადები, დასამზადებელი ფასები, თივის ვადამდე ჩაბარებისათვის დასამზადებელი ფასების ჯილდო-წანამატების რაოდენობა და მოცულობითი ფურაჟის რეალიზაციის წესი, რომლებიც 1937 წელს მოქმედებდნენ.

6. იმ მიზნით, რომ განთავისუფლდეს მუშა ხელი და გამწევი ძალა მარცვლეული კულტურების აღების დაწყებისათვის და უზრუნველყოფილ იქნან მომხმარებლები კეთილხარისხოვანი თივით, დაევალოს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ თივის მასობრივი ჩაბარება დამამზადებელ პუნქტებზე უშუალოდ მინდვრებიდან (სოფლებში შეუტანლად) პურეულის აღების დაწყებამდე იმ ანგარიშით, რომ თივის დამზადების გეგმა შესრულდეს დაბლობ რაიონებში (თბილისის, საგარეჯოს, გურჯაანის, ბორჩალოს და ყარაიას) არაუგვიანეს 1938 წლის 1 ივლისისა, ხოლო დანარჩენ (მთაგორიან) რაიონებში—არაუგვიანეს 1 სექტემბრისა.

ჩალის კონტრაქტაციის გეგმის შესრულების საბოლოო ვადად დაწესდეს 1938 წლის 1 ნოემბერი.

7. დაწესდეს, რომ საკავშირო და რესპუბლიკური სახალხო კომისარიატებისადმი დაქვემდებარებული საბჭოთა მეურნეობანი, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის საბჭოთა მეურნეობანი ვალდებული არიან მთელი ზედმეტი თივა ჩააბარონ „ზაგოტსენო“-ს; ის საბჭოთა მეურნეობანი, რომლებიც „ზაგოტსენო“-ს პუნქტებიდან დაშორებული არიან არაუმეტეს 50 კილომეტრისა, ვალდებული არიან თივა სასადგურო პუნქტებზე მიიტანონ საკუთარი ტრანსპორტით.

8. დაევალოს დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სისტემების წარმომადგენლებთან ერთად დააწესოს საბჭოთა მეურნეობების მიერ ზედმეტი თივის ჩაბარების გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობაში თივის ზედმეტი რაოდენობის გამორკვევისას დასტოვოს წლიური საჭიროების 10% სადასაზღვევო ფონდის შესაქმნელად საბჭოთა მეურნეობებში.

9. დაევალოს დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში არაუგვიანეს 1938 წლის 1 ივნისისა დაამთავროს უწყებების ჩაბარება საბჭოთა მეურნეობებისათვის მათთვის დაწესებული გეგმის მიხედვით ზედმეტი თივის ჩაბარების შესახებ

აიკრძალოს ზედმეტი თივის მიყიდვა საბჭოთა მეურნეობების მიერ სხვა ორგანიზაციებისათვის, გარდა „ზაგოტსენოს"-ი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მაგ. **ლ. რუხაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მაისის 17. № 655.
თბილისი.

ბ ე ბ მ ა

1938 წლის მოსავლის მოცულობითი ფურაჟის კონტრაქტაციისა.

„ზაგოტსენოს" სისტემის ხაზით (ტონობით)

რაიონები	**თივა**	**ჩალა**
1. ახალქალაქის	1000	100
2. ბოგდანოვკის	1500	—
3. ბორჯომის	1000	—
4. გურჯაანის	700	800
5. სიღნაღის	1600	400
6. ყარაიას	600	1000
7. ბორჩალოს	700	200
8. წალკის	2200	—
9. ალბულახის	1400	—
10. საგარეჯოს	1500	—
11. ბაშკიჩეთის	1800	—
12. თბილისის	—	500

ეროვნული ბიბლიოთეკა

73. 1938 წლის მოსავლის სამრეწველო და სუფრის ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1938 წლის 4 მაისის დადგენილების შესაბამისად, საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში 1938 წლის მოსავლის ყურძნის კონტრაქტაციის სახელმწიფო გეგმა და საბჭოთა მეურნეობებიდან შემოსვლა შემდეგი რაოდენობით.

სამრეწველო ყურძნის	23.200 ტონა
სუფრის ყურძნის	200 „

შემდეგი განაწილებით ცალკეული რაიონების, სექტორებისა და დამამზადებლების მიხედვით (იხ. დანართები №№ 1 და 2).

2. შენარჩუნებულ იქნას 1938 წლისათვის კონტრაქტაციის წესით ყურძნის ჩაბარების 1937 წლის მომქმედი ნორმები და პირობები.

3. კონტრაქტაციის დამთავრების ვადად დაწესდეს 1938 წლის 5 ივნისი.

4. აეკრძალოს ყველა სხვა ორგანიზაციას სამრეწველო ყურძნის დეცენტრალიზებული დამზადება იმ რაიონებსა და ზონებში, რომლებიც მიმაგრებულია სამტრესტსა, შამპანური ღვინოების კომბინატსა და რაიალბასკომების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებზე.

ნება დაერთოს სამომხმარებლო კოოპერაციას და საქვაჭრობას აწარმოონ ღვინის დეცენტრალიზებული დამზადება მას შემდეგ, რაც ძირითადი დამამზადებლები შეასრულებენ ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმას.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს არაუგვიანეს 1938 წლის 25 მაისისა დაამტკიცოს სუფრის ყურძნის გამოყენების გეგმა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მაგ. **ლ. რუხაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მაისის 17. № 656.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

1938 წლის მოსავლის სამრეწველო ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა

(ტონობით)

დამამზადებელი ორგანიზაციებისა და რაიონების დასახელება	საკოლმეურნეო გლეხური სექტორი	საბჭოთა მეურნეობანი	ს უ ლ
ს ა მ ტ რ ე ს ტ ი.			
ლუქსემბურგის რაიონი	2.880	—	2.880
გურჯაანის „	3.150	460	3.610
სიღნაღის „	980	600	1.580
ბაღდადის „	2.030	100	2.130
ყვარლის „	670	250	920
ზესტაფონის „	2.700	130	2.830
თელავის „	1.160	1.000	2.160
ჩხარის „	1.690	40	1.730
ვანის „	1.240	—	1.240
ბორჩალოს „	—	300	300
საგარეჯოს „	—	100	100
სულ სამტრესტის ხაზით	**16.500**	**3.000**	**19.500**
შამპანურის კომბინატი.			
ზესტაფონის რაიონი	800	80	880
ორჯონიკიძის „	1.600	—	1.600
ქუთაისის „	600	—	600
თბილისის „	—	120	120
სულ შამპანური კომბინატის ხაზით	**3.000**	**200**	**3.200**
რაიალმასკომების კომბინატები.			
ამბროლაურის რაიონი	200	—	200
ცაგერის „	100	—	100
მახარაძის „	50	—	50
ჩოხატაურის „	150	—	150
სულ კომბინატის ხაზით:	**500**	—	**500**
სულ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში	**20.000**	**3.200**	**23.200**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

1938 წლის მოსავლის სუფრის ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა

(ტონობით)

	საკოლმეურნეო გლეხური სექტორი
სამომხმარებლო კოოპერაცია	
საქხილბოსტანი:	
აღბულახის რაიონი	125
ბორჩალოს „	75
ს უ ლ . . .	200

74. თამბაქოს თავისუფლად გაყიდვის შესახებ.

1937 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მეთამბაქოობის რაიონების კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომლებმაც შეასრულეს თამბაქოს ჩაბარების საკონტრაქტაციო ვალდებულებანი, თავისუფლად გაჰყიდონ თამბაქოს ზედმეტი რაოდენობა ადგილობრივ ბაზრებზე, რკინიგზის სადგურებსა და ნავსადგურებში, თუ თამბაქოს მიტანა გაყიდვის ადგილზე არ არის დაკავშირებული რკინიგზით ან წყლით ტრანსპორტით გადაზიდვასთან.

2. აღნიშნულ ადგილებში თამბაქოს გაყიდვის ნება ეძლევათ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ საკონტრაქტაციო წიგნაკში „სოიუზტაბაკსირიოს“ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს განყოფილების რაიონული დამამზადებელი კონტორის მიერ გაკეთებული იქნება აღნიშვნა მათ მიერ საკონტრაქტაციო ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მაისის 20. № 660.
თბილისი.

---

75. ტყეში მუხის ნაყარ მოზარდეულში მუხის აბრეშუმის ჭიის გამოკვების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს 1938 წლისათვის ტყეში მუხის აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად გამოუყოს კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს სანაყარო ახალგაზრდა ნარგავები, სადაც უნდა სჭარბობდეს საშუშე მნიშვნელობის მუხა, შემდეგ სატყეო მეურნეობებში:

ა) 1. თბილისის . . .	12	ჰექტარი	8. ბაღდათის	8	ჰექტარი
2. ხაშურის . . .	17	„	9. ამბროლაურის . . .	12	„
3. დუშეთის . . .	5	„	10. ქვემო-სვანეთის . . .	3	„
4. ხარაგოულის . .	6	„	11. სალხინო-მარტვილის	5	„
5. ჭიათურის . . .	4	„	12. აფხაზეთის ასსრ . .	5	„
6. ქუთაისის . . .	12	„	13. აჭარის ასსრ	6	„
7. სამხ. ოსეთის ა/ო	5	„			

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში 150 ჰექტარი საქაბრეშუმის განაცხადის მიხედვით.

2. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ახალგაზრდა მუხიანი ნაკვეთები გამოჰყოს იმ ადგილებში, რომლებიც არ ეკვრიან მუხის მოსამწიფებელ და მომწიფებულ ფოთლოვან ნარგავებს.

3. მუხის ნარგავთა ნაკვეთების გამოყოფა კოლმეურნეობებისათვის ჭიების გამოსაკვებად მოხდეს სატყეო მეურნეობისა და კოლმეურნეობის ტიპიური ხელშეკრულების საფუძველზე.

4. დაევალოს კოლმეურნეობებს, რომლებიც მუხის აბრეშუმის ჭიის გამოკვებას ეწევიან, გამოსაკვებად გამოყოფილი მუხის ნარგავთა ნაკვეთების მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზადება და ექსპლოატაცია აწარმოონ თანახმად სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ ამ საკითხებზე დამტკიცებული ინსტრუქციისა.

5. დაევალოს საქართველოს აბრეშუმის ტრესტს იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ის ზიანი, რომელიც მუხის აბრეშუმის ჭიამ შეიძლება მიაყენოს ტყეს, და მუხის აბრეშუმის ჭიის სნეულების გავრცელება თუთის აბრეშუმის ჭიაზე, გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ტყის ფართობები, რომლებიც გამოსაკვებად გამოიყოფა, გამიჯნულ იქნან ტყის მეზობელი ფართობებისაგან 3—4 მეტრიანი ზოლების გაჩეხვის გზით;

ბ) არ დაუშვას მრავალგზის სარგებლობა ერთსადაიმავე ფართობებზე და მათი ექსპლოატაცია განახორციელოს ერთი წლის შემდეგ;

გ) ფოთოლი და ახალგაზრდა ყლორტები ნაყარი მუხისაგან შეაგროვოს ტყის მოვლის ღონისძიებათა წესით;

დ) არ დაუშვას ხეების ფოთლის შეჭმა 50%-ზე მეტით;

ე) სისტემატურად გაუწიოს მეთვალყურეობა, რათა გამოარკვიოს, თუ რა ზიანს აყენებს ტყეს მუხის აბრეშუმის ჭია.

6. საქართველოს სსრ მიწსახკომმა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს პრაქტიკული ღონისძიებანი მუხის აბრეშუმის ჭიის გაძოკვების რაიონებში კარანტინის გამოცხადებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მაისის 22. № 669.
თბილისი.

914.1

76. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ამხანაგ სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაკმაყოფილებული იქნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შემადგენლობის შუამდგომლობა უნივერსიტეტისათვის ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელის მიკუთვნების შესახებ.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ.ა. **ვ. ეგნატაშვილი.**

1938. წ. ივნისის 9. № 269.
თბილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 131 №-ში 1938 წ. ივნისის 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

77. იმ დოკუმენტების ნუსხის მე-14 პუნქტის ამოშლის შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების საალსრულებო წარწერების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამოშლილ იქნას ა ლიტერის მე-14 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისა „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების საალსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 15, მუხ. 126).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. ივნისის 21. № 818.
თბილისი.

572.11
031.24

78 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს შესახებ.

2. გაუქმებულ იქნას:

ა) „საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 27 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. №23, მუხ. 245; 1933 წ. № 24. მუხ. 303; 1934 წ. № 28, მუხ. 212);

ბ) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 27 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ ადგილობრივი საგზაო ორგანოების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ, 1931 წ. № 23, მუხ. 246).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს ორი დეკადის ვადაში დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი საქართველოს სსრ ადგილობრივი საგზაო ორგანოების ტიპიური დებულებისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. ივნისის 22. № 859.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს შესახებ.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველო ორგანიზებულია „საგზაო მეურნეობის სამმართველოს შესახებ" სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 22 აპრილის თარიღით გამოცემული დადგენილების საფუძველზე (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 21, მუხ. 133).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს ეკისრება:

ა) მშენებლობა, რემონტი და შენახვა იმ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა, რომელთაც არა აქვთ საერთო საკავშირო მნიშვნელობა,

ბ) სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით გზების მშენებლობისა და რემონტის მთელი საქმის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს ადგილობრივი ორგანოები, რომელნიც განსაკუთრებული დებულების საფუძველზე მოქმედობენ, არიან:

ა) აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ის გზატკეცილებისა და ყამირგზების სამმართველოები;

ბ) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საგზაო განყოფილება;

გ) სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტების საგზაო განყოფილებანი.

4. რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზების მშენებლობის, რემონტის და შენახვის განხორციელებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს, აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ის საგზაო სამმართველოების და სამხრეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსეთის ავტონომიური ოლქის საგზაო განყოფილებას უფლება აქვთ მოაწყონ საგზაო უბნები, რომლებიც მოქმედობენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს დებულების საფუძველზე.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველო დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად გამოსცემს თავის გამგებლობის ფარგლებში ბრძანებებს და ინსტრუქციებს და აგრეთვე დასდებს ხელშეკრულებას და შეთანხმებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს ბრძანება და ინსტრუქცია შეიძლება შეჩერებულ, შეცვლილ ან გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველო უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

1) თვალყური ადევნოს, რათა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შესრულებულ იქნას სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა და აგრეთვე სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი, რომელნიც აწესრიგებენ საგზაო მეურნეობას;

2) შეიმუშაოს პროექტები კანონებისა, დადგენილებებისა და განკარგულებებისა, რითაც მოწესრიგებული იქნება საგზაო მეურნეობა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიხედვით და წარადგინოს დასამტკიცებლად დადგენილი წესისამებრ;

3) შეიმუშაოს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის საგზაო მშენებლობის საპერსპექტივო გეგმები და საკონტროლო ციფრები; შეადგინოს, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტით საგზაო მშენებლობისათვის გადადებული სახსრის ფარგლებში წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმები და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

4) განახორციელოს ოპერატიული ხელმძღვანელობა და დაგეგმარება და გაუწიოს კონტროლი აფხაზეთის და აჭარის ასსრ საგზაო სამმართველოების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საგზაო განყოფილებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგზაო განყოფილებათა მუშაობას;

5) აწარმოოს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო მეურნეობის სტატისტიკა რესპუბლიკის ფარგლებში; შეადგინოს ანგარიშები, ბალანსები და საკონიუნქტურო მიმოხილვები საგზაო მეურნეობის მდგომარეობისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

6) შეადგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად რესპუბლიკური და ადგილობრივი საგზაო ფონდების განაწილების პროექტები და წარუდგინოს ეს პროექტები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად;

7) თვალყური ადევნოს, რათა ადგილობრივმა საგზაო ორგანოებმა წესიერად დახარჯონ საგზაო მეურნეობისათვის გამოყოფილი ასიგნები;

8) აწარმოოს ტექნიკური ძიებანი, ეკონომიური გამოკვლევები და საცდელი სამუშაოები, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები საგზაო მეურნეობის დარგში;

9) შეადგინოს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიები და წარმართოს ისინი დასამტკიცებლად დადგენილი წესისამებრ; შეიმუშაოს და წარადგინოს ზემდგომ ინსტანციებში მასალა გზების კლასიფიკაციისათვის; შეადგინოს საგზაო და ეკონომიური რუკები;

10) ჩაატაროს მუშაობა საგზაო მეურნეობის ინვენტარიზაციის დარგში და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მუშაობას;

11) საერთო ტექნიკური ზედამხედველობა გაუწიოს მშენებლობას, რასაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აწარმოებენ ქვემდებარე ორგანოები, სახელმწიფო დაწესებულებანი, საწარმოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, იმ გზების გარდა, რომლებსაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ; განახორციელოს ზედამხედველობა იმისათვის, რომ რეპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო მშენებლობის წარმოების დროს შესრულებულ იქნას დადგენილი ტექნიკურ-ეკონომიური ნორმები, საზომები და წესები გზებისა და მათი ნაგებობის მოწყობის, შენახვის, გამოყენების, რემონტის და დაცვის საქმეში;

12) შეიმუშაოს საგზაო ნაგებობათა ტექნიკური ნორმები და ტიპიური პროექტები;

13) შეიმუშაოს, განიხილოს და დადგენილი წესისამებრ დაამტკიცოს საგზაო მშენებლობის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, საგზაო ნაგებობათა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ჩათვლით;

14) განახორციელოს ღონისძიებანი საგზაო სამუშაოთა მექანიზაციისათვის;

15) განახორციელოს საზგაო მეურნეობაში შრომის ტექნიკური წარმოება და ხელმძღვანელობა გაუწიოს სტახანოვური მოძრაობის და სოციალისტური შეჯიბრების გაშლას;

16) გამოარკვიოს ტექნიკური მუშა-ძალის საჭიროება საგზაო მშენებლობისათვის;

17) მოამზადოს კადრები საგზაო მეურნეობისათვის; მოაწყოს დაბალი და საშუალო კვალიფიკაციის საგზაო მომუშავეთა მოსამზადებელი სპეციალური სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლებლები და განაგოს ეს სასწავლებლები; მოაწყოს სპეციალური საგზაო სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა, შეიმუშაოს და განახორციელოს საშუალო და უმაღლესი ტექნიკური პერსონალის სამეცნიერო-ტექნიკური მივლინების გეგმები კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ტექნიკური ცოდნის გახსაახლებლად;

18) შეიმუშაოს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზების მშენებლობასა და რემონტში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით ჩასატარებელ სამუშაოთა გეგმები; ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ სამუშაოთა ორგანიზაციას და თვალყური ადევნოს მათ ცხოვრებაში გატარებას დამტკიცებულ გეგმებთან შესაბამისად;

19) შეადგინოს ქვემდებარე საგზაო ორგანოების სამშენებლო მასალებით, საგზაო მექანიზმებით და ავტო-მანქანებით მომარაგების ნაკრები გეგმები;

20) მოიწვიოს კონფერენციები და თათბირები საგზაო მეურნეობის საკითხებზე სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით.

21) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი საგზაო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციისათვის;

22) მოაწყოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით სამეურნეო ანგარიშზე მომქმედი საწარმოები და ორგანიზაციები;

23) მოახდინოს გადანაწილება საბრუნავი თანხებისა დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის.

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

მთავარი საზგაო სამმართველოს სასტრუქტურო დანაწილებათა დებულებებს ამტკიცებს სამმართველოს უფროსი.

9. მთავარ საგზაო სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეებს დანიშნავს და უკანვე გაიწვევს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

მთავარი საგზაო სამმართველოს უფროსი მონაწილეობას მიიღებს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით.

შენიშვნა. უკეთუ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომას სამმართველოს უფროსი არ დაესწრო, სხდომაში იმავე უფლებით მონაწილეობას მიიღებს მისი მოადგილე.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობს სამმართველოს მუშაობას და აგრეთვე კონტროლსა და ზედამხედველობას უწევს სამმართველოსათვის დაქვემდებარებულ დაწესებულებებს და პირებს.

11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს უფროსს უფლება აქვს ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხების შესახებ, რაც სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს.

კერძოდ მას უფლება აქვს:

ა) განსაზღვროს იმ საქმეებისა და საკითხების კატეგორიები, რაც მისი მოადგილეების გამგებლობას ექვემდებარება, და აგრეთვე გაანაწილოს სამუშაო სამმართველოს განყოფილებებსა და მის ნაწილებს შორის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მომქმედი კანონმდებლობის თანახმად დანიშნოს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანოს და დაითხოვოს სამმართველოს პირადი შედგენილობა;

გ) განკარგოს ხარჯთაღრიცხვებით გადადებული კრედიტები, არსებული წესების დაცვითა და აგრეთვე დაამტკიცოს, ამა დებულებით და სათანადო კანონებით და წესებით დადგენილ ფარგლებში პროექტები და ხარჯთაღრიცხვები ოპერატიული ხარჯების დარგში; აწარმოოს საკრედიტო ოპერაციები, მათ შორის ისარგებლოს კრედიტით, გახსნას და დახუროს საანგარიშსწორებო, მიმდინარე და სხვა ანგარიშები და განაგოს ისინი, ხელი მოაწეროს ჩეკებს, საგადამხდელო დავალებებს, მოახდინოს ანგარიშფაქტურების აქცეპტირება, მიიღოს ფული და ფასეულობანი;

დ) განაპროტესტოს, დადგენილი წესისამებრ, თავისი გამგებლობის ფარგლებში ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა, სახალხო კომისარიატებისა და რესპუბლიკის სხვა ცენტრალური დაწესებულებების დადგენილებანი;

ე) განახორციელოს განდგინებისა და პროტესტის განცხადების უფლება ადგილობრივი საგზაო ორგანოების ხელმძღვანელთა და საგზაო უბნების უფროსების დანიშვნისა და სამსახურიდან მოხსნის დროს;

ვ) დასდოს სამმართველოს სახელით ყოველგვარი ხელშეკრულება და შეთანხმება, რომელიც საჭიროა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს მიზნების განხორციელებისათვის, მათ შორის გასცეს რწმუნებულებანი;

ზ) აღძრას ძიებანი და გასცეს პასუხი აღძრულ ძიებათა გამო არბიტრაჟსა და სასამართლო დაწესებულებებში, აგრეთვე იყოს წარმომადგენელი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოსი ყველა სამთავრობო, ადმინისტრატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და ორგანიზაციებში ერთპიროვნულად ანდა იმ პირთა მეშვეობით, რომლებიც უფლება მოსილი იქნებიან ამისათვის სპეციალური მინდობილობებით.

12. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბისა და თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

ჩაბარდეს პირველ რიგში ხელწერილის ქვეშ

ფასი 30 კაპ.

გამომცემელი ხაქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1938 წ. № 29 3/მ. რედაქტორი ი. შელეგია

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 5/VII 1938 წ. ხელმ. დასაბეჭდად. 21/VII. ტირაჟი 2000

მთ. რწმ. № 1189 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართ. სტამბა, თბილისი. დაკვ. № 788